



N _____
//____

000000-00-0-000000000000



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს,
ბატონ მიხეილ ჩხენკელს

წინადადება

**ზოგადი განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებში კონფლიქტ-სენსიტიური
სწავლებისა და მშვიდობის შესახებ განათლების სათანადო ასახვის თაობაზე**

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი ინიციატივით განახორციელა ზოგადი განათლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში მშვიდობის განათლების ასპექტების ინტეგრირების დონის შესწავლა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი კრიტერიუმების, ასევე მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტები სათანადოდ არ ასახავენ კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციისა და მშვიდობის კულტურის ხელშეწყობ დებულებებს. აღნიშნული შეუსაბამობაში მოდის მშვიდობის შესახებ განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე ადამიანის უფლებათა სწავლების პრინციპებთან. ამასთან, ფორმალურ განათლებაში მშვიდობის სწავლების კომპონენტების არასაკმარისი ინტეგრაცია ნაკლებ ეფექტურს ხდის ზოგადი განათლების კონტრიბუციას ქვეყნის კონსტიტუციითა და სახელმწიფოს სტრატეგიული დოკუმენტებით გაცხადებული მიზნის მიღწევაში, ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით მოგვარების, ნდობის აღდგენისა და შერიგების შესახებ.

ფაქტობრივი გარემოებები:

2021 წლის 26 აპრილს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტმა გამართა შეხვედრა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების კომისიაში „სხვა

სპეციალისტის“ სტატუსით ჩართულ ექსპერტებთან. შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება სახელმძღვანელოთა/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივ კრიტერიუმებში მშვიდობის შესახებ განათლების კრიტერიუმის სათანადოდ ასახვის აუცილებლობის შესახებ. „სხვა სპეციალისტის“ სტატუსით 2021 წლის რეცენზირების პროცესში ჩართულმა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ კრიტერიუმებს შორის არ არის სამშვიდობო პოლიტიკის ელემენტი და კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების შესახებ შესაბამისი კრიტერიუმი; ამასთან, არ ისახება რაიმე სახის ხედვა კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით¹. მათი გადმოცემით, აფხაზები და ოსები ძირითადად სეპარატისტებად არიან დანახულნი, რაც აზიანებს კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესს². მაგალითად, ისტორიის საგანში უმეტესად მილიტარისტული მიდგომებია დეკლარირებული³. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოთა შეფასების კრიტერიუმებს დაემატოს კონფლიქტების გადაჭრის სამშვიდობო პოლიტიკის ელემენტი, რომელიც მოიცავს შუღლის გადავივების პრევენციისა და პოზიტიური მშვიდობის მშენებლობის კონცეფციას, ასევე კონფლიქტის რეგიონებთან დაკავშირებით მშვიდობის იდეების კულტივირებასა და სახელმძღვანელოებში ამ რეგიონების და ხალხების პოზიტიურ რეპრეზენტაციას⁴.

რეცენზენტების ზემოხსენებულ შეფასებას ადასტურებს საქართველოს უახლოესი ისტორიის სახელმძღვანელოთა ანალიზის შესახებ ანგარიში, რომელიც 2017 წელს განხორციელდა “მშვიდობისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრის” (CPCD) მიერ⁵. აღნიშნული კვლევის თანახმად, კონფლიქტის მიზეზების არადაბალანსებული და მხოლოდ ერთი მხარის პერსპექტივიდან გადმოცემის ტენდენცია იკვეთება ისტორიის სხვადასხვა სახელმძღვანელოში. მაგ.: სამხრეთ ოსეთში მომხდარი დაპირისპირების მიზეზად მოყვანილია ქართული ეროვნული სიმბოლოების ხელყოფა ოსი ეთნოსის მიერ⁶. კონფლიქტის მეორე მხარეთა პოზიციები კი, როგორც აფხაზური, ასევე სამხრეთ ოსეთის საომარ დაპირისპირებებთან დაკავშირებით სახელმძღვანელოებში თითქმის სრულიად იგნორირებულია⁷.

საგულისხმოა, რომ CPCD-ის მიერ 2021 წელს მომზადებული ანალიტიკური დოკუმენტი საქართველოში კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების შესახებ, ისევე გამოკვეთს ისტორიის სახელმძღვანელოთა გაუმჯობესების საჭიროების საკითხს. დოკუმენტის მიხედვით: “იმის მიუხედავად, რომ წლების განმავლობაში ისტორიის სახელმძღვანელოების ხარისხი გაუმჯობესდა, მათში 1990–იანი წლების საქართველოს კონფლიქტები კვლავ არასათანადოაა წარმოდგენილი და არ ასახავს სრულ და მულტიპერსპექტიულ სურათს. წიგნები სეპარატიზმისა და რუსეთის ფაქტორის გარდა ნაკლებად ასახავენ ქართულ–

¹ 2021 წლის 26 აპრილს ‘სხვა სპეციალისტის’ სტატუსით რეცენზირების პროცესში ჩართულ ექსპერტებთან გამათული შეხვედრის აუდიო ჩანაწერი და ოქმი.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ 2021 წლის 26 აპრილს გამათული შეხვედრის აუდიო ჩანაწერი და ოქმი.

⁵ „რა ვიცი და როგორ ვსწავლობთ კონფლიქტებს“, დავით ჯიშკარიანი, “მშვიდობისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი, თბილისი 2017, გვ. 10, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3jycMpQ> >

⁶ იქვე. გვ. 11

⁷ იქვე.

აფხაზური და ქართულ–ოსური კონფლიქტის ეკონომიკური და სოციალური კონტექსტს”⁸. პუბლიკაციაში ასევე საუბარია ისტორიის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობის საკითხზე⁹.

რეცენზენტებთან შეხვედრის, ასევე საქართველოში კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების შესახებ არსებული კვლევებისა თუ ანალიტიკური დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ზოგადი განათლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის ხელშემწყობი დებულებების ასახვის ხარისხი.

საერთაშორისო სტანდარტები

გაერთიანებული ერების წესდების მიზნებს შორის უმთავრესია მშვიდობის შენარჩუნება და კონფლიქტების პრევენცია. განათლება მშვიდობის შესახებ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომლის ფუნდამენტურ აღიარებასაც ვხვდებით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლში: „განათლება მიმართული უნდა იყოს [...] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისკენ. იგი ხელს უნდა იწყობდეს [...] ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობას, მეგობრობასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად”.

გაეროს სააგენტოები იზიარებენ პათოსს განათლების მნიშვნელობის შესახებ მშვიდობის მშენებლობის პროცესში. გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) კონსტიტუციაში (1945) მითითებულია, რომ: “რადგანაც ომის შესახებ იდეა ადამიანთა გონებაში მწიფდება, მისი თავიდან აცილების კონცეფციაც პიროვნებათა გონებაშივე უნდა იქნას კონსტრუირებული”¹⁰.

მშვიდობის განათლების ინსტრუმენტალიზების კუთხით მნიშვნელოვანია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (მუხლი 29.1/დ), რომლის მიხედვითაც, განათლება მიმართული უნდა იყოს მოამზადოს ბავშვი “თავისუფალ საზოგადოებაში შეგნებული ცხოვრების გაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, მამაკაცებისა და ქალების თანასწორობის, ყველა ხალხს, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს, აგრეთვე მკვიდრ მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით”. ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობის განათლებას პოსტ-კონფლიქტურ თემებში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ, რომელმაც მშვიდობის განათლება კონფლიქტების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის (1996) ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად გამოაცხადა.

⁸ „კონფლიქტის ტრანსფორმაცია და კონფლიქტ-სენსიტიური სწავლება: ქართული განათლების სისტემის გამოწვევები”, მშვიდობისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი, 2021 წ., გვ. 6

⁹ იქვე. გვ. 7

¹⁰ Constitution of the United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO) 1945.

ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/352hjs5> >

გაეროს მიდგომათა ფორმირების დინამიკაში უფრო და უფრო აშკარა ხდება ადამიანის უფლებათა განათლებისა და მშვიდობის განათლების შერწყმა. გაეროს მიერ მიღებული ვენის დეკლარაცია და 1993 წლის ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციის სამოქმედო პროგრამა (მე-2 თავი, პუნქ. 78-82)¹¹, მიუთითებს, რომ მშვიდობის განათლება ადამიანის უფლებების სწავლების ნაწილია, ხოლო ადამიანის უფლებების სწავლებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მშვიდობისთვის.

მშვიდობის განათლების, როგორც განათლების უფლების კონცეფცია იკვეთება გაეროს დეკლარაციაში (#39/11) „ხალხთა მშვიდობის უფლების“ შესახებ, რომელიც გენერალურმა ასამბლემ 1984 წლის 12 ნოემბერს მიიღო¹². აღნიშნული დეკლარაციის სულისკვეთებაა, რომ მშვიდობის უფლებიდან გამომდინარეობს უფლება მშვიდობის განათლების ხელმისაწვდომობაზე. შესაბამისად, სამშვიდობო განათლება აღქმული უნდა იქნას, როგორც სახელმწიფოთა ვალდებულება და არა საგანმანათლებლო საქმიანობის ალტრუისტული დანამატი.

მშვიდობის განათლებას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს შორის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს და ასევე მოიაზრება ადამიანის უფლებათა განათლების კონტექსტში. მიზანი #4.7. მიუთითებს, რომ “2030 წლისთვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას ყველა მოსწავლის მიერ მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად ცოდნისა და უნარების შეძენა, მათ შორის, მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების მდგრადი წესის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, მშვიდობისა და ძალადობისგან თავისუფალი კულტურის ხელშეწყობის, გლობალური მოქალაქეობის, ასევე კულტურული მრავალფეროვნების და მდგრად განვითარებაში კულტურის წვლილის აღიარებისაკენ მიმართული განათლების მეშვეობით”¹³. ხსენებული მიზნის მისაღწევად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ამოცანა ზემოაღნიშნული საკითხების ინტეგრირება მოახდინონ:

- ა) სამინისტროს პოლიტიკის დოკუმენტებში;
- ბ) სასწავლო პროგრამებში;
- გ) მასწავლებელთა მომზადება/გადამზადების პროგრამებში;
- დ) მოსწავლეთა შეფასების სისტემაში.

მშვიდობის შესახებ განათლების მნიშვნელობა განმტკიცებულია არაერთ საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციის გადაწყვეტილებასა თუ დადგენილებაში¹⁴. აღნიშნულ

¹¹ United Nations General Assembly. Vienna Declaration and Program of Action (World Conference on Human Rights). New York: United Nations. (A/CONF. 157/23) 1993 წლის 25 ივნისი). თავი 2, პარა. 78-82.

¹² Right of peoples to peace. New York, NY: United Nations General Assembly. Resolution A/RES/39/11, (1993). ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3gnvD3X> >

¹³ ხელმისაწვდომია: < <https://sdg.gov.ge/main> >

¹⁴ ა) Council of Europe Charter on Education for Democratic Citizenship and Human Rights Education, 2010;

დოკუმენტებში ხაზგასმულია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებებში ნდობის შენებისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის საქმეში¹⁵.

კონფლიქტებით დაყოფილ საზოგადოებებში მშვიდობის განათლების ხელშეწყობის აუცილებლობაზე მეტყველებს არაერთი ფართომასშტაბიანი კვლევა პედაგოგთა სტერეოტიპების შესახებ დასავლეთის ქვეყნებში, რომელთა მიხედვითაც მასწავლებლების და სკოლის პერსონალის ქცევა და მიდგომები ნაკარნახევია ჯგუფთაშორისი დამოკიდებულებებით.¹⁶ პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში განხორციელებული რიგი თვისებრივი კვლევებით გამოვლინდა პედაგოგთა სტერეოტიპული და დისკრიმინაციული მოპყრობისა და სწავლების შემთხვევები, მეტადრე ისტორიის, ასევე სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების პროცესში¹⁷.

გარდა პედაგოგების მომზადების პროგრამებში მშვიდობის განათლების ინტეგრირების საჭიროებისა, პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებებში მშვიდობის მშენებლობის საქმეში ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფორმალური განათლების სასწავლო მასალებსა და

ბ) Recommendation concerning education for international understanding, cooperation and peace and education relating to human rights and fundamental freedoms. Paris, France: UNESCO. Recommendation adopted by the General Conference of UNESCO at the 18th Session, 1974 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3x2LMIZ> >

გ) Declaration of principles on tolerance. Paris, France: UNESCO. Adopted by the General Conference of UNESCO, 1995 წლის 16 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/2RFdmqs> >

დ) United Nations General Assembly Resolution A/53/243 Declaration and Programme of Action on a Culture of Peace. 1999 წლის 13 სექტემბერი; ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3cruya0> >

ე) UN General Assembly Declaration on a Culture of Peace (53/243A.), 1999, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3v5EHQf> >

ვ) UNESCO Declaration of Principles on Tolerance, 1995, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3zeyjlu> >

ზ) “Maastricht Global Education Declaration European Strategy Framework For Improving and Increasing Global Education In Europe to the Year 2015, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3crUO3T> >

¹⁵ UNESCO Declaration and Integrated Framework of Action on Education for Peace, Human Rights and Democracy, 1995, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3fZvX9T> >

¹⁶ 1) Tenenbaum, H.R., Ruck, M.D., 2007. Are teachers' expectations different for racial minority than for European American students? A meta-analysis. J. Educ. Psychol. 99 (2), გვ. 253–273;

2) Chang, D.F., Demyan, A., 2007. Teachers' stereotypes of Asian, Black, and white students. Sch. Psychol. Q. 22 (2), გვ. 91–114.

¹⁷ 1) Bush, K.D., Saltarelli, D. (Eds.), 2000. The Two Faces of Education in Ethnic Conflict. UNICEF Innocenti Research Centre, Florence;

2) Zembylas, M., Charalambous, C., Charalambous, P., 2016. Peace Education in a Conflict- affected Society: an Ethnographic Journey. Cambridge University Press

სახელმძღვანელოებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა International Alert-ის მიერ სამხრეთ კავკასიაში (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) არსებული კონფლიქტების კონტექსტში შესწავლილი სახელმძღვანელოები (ქართული, აფხაზური, ოსური, რუსული, აზერბაიჯანულ და სომხური ისტორიის სასწავლო მასალა)¹⁸ და გაკეთებული დასკვნები.

კვლევის ძირითადი მიგნებებია სახელმძღვანელოთა ექსკლუზივისტური ისტორიული ნარატივი, ეთნოცენტრული დისკურსი, რომლითაც ხდება უმცირესობათა ჯგუფების მარგინალიზებისა და მტრის ხატის ფორმირების ტენდენციები¹⁹. აღნიშნული ხელს უშლის სამოქალაქო ცნობიერებისა და სოციალური ერთიანობის ფორმირებას, თანასწორობისა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა პატივისცემას და საფრთხეების შემცველია განსაკუთრებით მულტიეთნიკური და მულტირელიგიური საზოგადოებებისთვის²⁰. დოგმატური, ეთნოცენტრული ისტორიული ნარატივის პირობებში ეთნიკური უმცირესობების პოზიტიური როლი ეროვნულ ისტორიულ თხრობაში იკარგება, რაც ხელს უშლის ერის კონსოლიდაციას, სამოქალაქო ერთიანობას და იწვევს უმცირესობათა მარგინალიზებას²¹.

ეროვნული კანონმდებლობა

სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობების უპირატესი მნიშვნელობის შესახებ აღნიშნულია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში. ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის მიზანი ასევე გაცხადებულია 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტში.²² აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნებისა და მოსახლეობის რეინტეგრაციის საკითხი უმთავრესი მიზანია „სახელმწიფო სტრატეგიის ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ - ჩართულობა თანამშრომლობის გზით დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის #107 განკარგულების პრეამბულის თანახმად.²³

ზოგადი განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ მშვიდობის შესახებ განათლების აქტუალობა ექსპლიციტურად არ არის ნახსენები ზოგადი განათლების მარეგულირებელ ძირითად კანონში “ზოგადი განათლების შესახებ”, ასევე მთავრობის დადგენილებაში “ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების” დამტკიცების შესახებ. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრული განათლების სახელმწიფო

¹⁸ International Alert, ‘Myths and Conflict in the South Caucasus, Instrumentalisation of Historical Narratives’, Volume 1, 2013 წელი, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3crgD3E> >

¹⁹ იქვე. გვ. 28

²⁰ იქვე. გვ. 82

²¹ იქვე.

²² საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 მარტის #671 განკარგულება “2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ”, თავი 3, მიზანი 1

²³ ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3gCyQfP> >

პოლიტიკის ძირითადი მიზნები,²⁴ გარკვეულწილად ხელს უწყობენ მშვიდობის კულტურის ფორმირებას.

უნივერსალურ ადამიანის უფლებათა, სამოქალაქო ცნობიერების, ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების აღიარებას ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის #40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა²⁵. აღნიშნულ დოკუმენტში პირდაპირაა ნახსენები მშვიდობის კულტურის ფორმირების მნიშვნელობის შესახებ, როგორც სასწავლო გარემოში და მოსწავლეთა თანატოლებთან ურთიერთობებში, ასევე გლობალურ კონტექსტში - თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და საერთაშორისო სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობის კონცეფციების სახით. აღნიშნული მიდგომები ძირითად მიემართება სასკოლო გარემოს ფორმირების ნაწილს, ასევე სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების სტანდარტებს.

ზემოხსენებულის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობის კულტურის დამკვიდრებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების შესახებ მოთხოვნა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში მხოლოდ შემოიფარგლება კონფლიქტის პრევენციის სტრატეგიების ცოდნა-გამოყენების თაობაზე მითითებით²⁶. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის პრევენცია მშვიდობის ნეგატიურ ასპექტს (ნეგატიური მშვიდობის დეფინიციას) მიესადაგება, რომელიც კონფლიქტისა და ძალადობის არარსებობას მოიაზრებს²⁷. ხოლო მშვიდობის პოზიტიური გაგება უფრო კომპლექსურია და იმგვარი დამოკიდებულებების, ღირებულებებისა და ინსტიტუციების ფორმირებას გულისხმობს, რომლებიც ახდენენ მშვიდობის მდგრადი კულტურის კულტივირებას²⁸. შესაბამისად, მშვიდობის პოზიტიური კონცეფციის ასახვისთვის მასწავლებლის სტანდარტში მითითებული მოთხოვნა საკმარისი არ არის.

²⁴ ა) “მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა”; ბ) “მოსწავლის [...] ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა”. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი #3., 27/04/2021-ის მდგომარეობით; ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3glVytS> >; ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიხედვით, სკოლამ უნდა შეძლოს მოსწავლე გახადოს: “კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე; დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.” საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება #84 “ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ”, 29/10/2004 წლის მდგომარეობით; ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/2RR9NgK> >

²⁵ ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3zkdRqV> >

²⁶ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 21 ნოემბრის ბრძანება #1014 ‘მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ’, თავი II, მუხლი 4 (ლ), 30/06/2020-ის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3wqjCBI> >

²⁷ Global Peace Index (GPI), გვ. 66, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/35nyx3v> >

²⁸ იქვე.

გარდა მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტისა, საგულისხმოა სასკოლო სახელმძღვანელოთა შეფასების შინაარსობრივი კრიტერიუმების არსებული ვერსია. აღსანიშნავია, რომ ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი კრიტერიუმები არ მოიცავს კონფლიქტ-სენსიტიური სწავლებისა და მშვიდობის კულტურის ხელშეწყობის შესახებ მითითებას²⁹.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით, საინტერესოა საერთაშორისო გამოცდილება. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების შემდგომ სხვადასხვა ქვეყნის განათლების პოლიტიკის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ სახელმწიფოთა მიერ ხორციელდება კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების მიდგომათა ინტეგრირება ზოგადი განათლების სფეროში. 1992-95 წლების ბოსნიის ომის შემდგომ ბოსნია და ჰერცეგოვინაში განათლების სფეროს საკანონმდებლო რეფორმის პროცესში აქტიურად მოხდა მშვიდობის განათლების მიდგომების ინტეგრირება. მშვიდობის განათლების მიდგომები აისახა ისტორიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების სახელმძღვანელოებში. კონფლიქტის დასრულებისთანავე განხორციელდა ე.წ. “წინააღმდეგობრივი შინაარსის მასალის” ამოღება სკოლებიდან, ხოლო მოგვიანებით 2006-2007 წლებიდან სახელმწიფომ შეიმუშავა მითითებები სასკოლო სახელმძღვანელოებისა და პედაგოგთა პროფესიული განვითარების პროგრამებისთვის, რომელთა მიზანიც ისტორიის მრავალპერსპექტიული გაგებისა და კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების ხელშეწყობა გახდა³⁰.

მშვიდობის სწავლების კუთხით პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს ავსტრალიას. პედაგოგთა პროფესიულ სტანდარტებში მშვიდობის განათლების ელემენტების ინტეგრირების პარალელურად, სახელმწიფო აქტიურად ახორციელებს გადამზადების კურსებს მასწავლებლებისთვის³¹.

საინტერესოა, ისტორიის სწავლების ჩრდილო ირლანდიური მოდელი. აქ მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა სწავლების პროცესი დააფუძნონ ფაქტების კრიტიკულ და მრავალმხრივ ანალიზს; ამ მოდელის მიზანია განავითაროს ‘ისტორიული წიგნიერება’ („historical literacy“), ანუ ისტორიულ ტექსტებთან მუშაობით მოსწავლეებს მიეცეთ ისტორიული მოვლენების საფუძვლიანი გაგების საშუალება, ისტორიული მოვლენების მნიშვნელობის გამოკვეთის გზითა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენით³².

²⁹ „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N768 ბრძანება, დანართი #1; <<https://bit.ly/3pWREuz> >

³⁰ Hara, K. (2012 წილ 22-6). Peace Education in the 21st Century: A Comparative Study of Peace Education in Japan, Germany and and Bosnia-i-Herzegovina, გვ. 14-15, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/2StONx6> >

³¹“Elaborations of the Australian Professional Standards for Teachers for Global Learning Engagement and Internationalising”, Australian Department of Education Advice to Schools, ხელმისაწვდომია:<<https://bit.ly/3qpE3wb>>

³² Psaltis Charis, Carretero Mario, Čehajić-Clancy Sabina (Eds.), History Education and Conflict Transformation: Social

ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების აღნიშნული მოდელის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს ისტორიისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების პედაგოგთა შესაძლებლობების გაძლიერება წარმოადგენს³³.

მშვიდობის განათლების ხანგრძლივი ტრადიცია აქვს იაპონიის სახელმწიფოს, სადაც უკვე რამდენიმე ათეული წელია კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების ინტეგრირება ხდება სხვადასხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნებში. 2005 წლიდან კი სახელმწიფოს მიერ განხორციელდა სასკოლო სახელმძღვანელოთა ავტორიზების ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბება. აღნიშნული პროცესის ფარგლებში მთავრობა ახდენს სახელმძღვანელოთა შერჩევას წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავენ მშვიდობის შესახებ განათლების ასპექტებს³⁴.

იაპონიისგან განსხვავებით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სახელმძღვანელოთა ავტორიზება დეცენტრალიზებული პროცესია. ზოგადი განათლების მარეგულირებელი ძირითადი კანონი მიზნად მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებას გულისხმობს, მათ შორის ჰოლოკოსტისა და მესამე რაიხის საქმიანობათა კრიტიკულ და ობიექტურ შეფასებასა და უფლებათა დაცვის და დემოკრატიის ღირებულებების განმტკიცებას³⁵. II მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ქვეყანაში მასიურად განხორციელდა ინდოქტრინაციული შინაარსების მატარებელი სახელმძღვანელოების ამოღება სასწავლო პროცესიდან³⁶. სასკოლო სახელმძღვანელოთა შერჩევის პროცესი ყოველ ფედერაციულ მხარეში განსხვავდება, თუმცა მათ აერთიანებს მშვიდობის განათლების შესახებ საერთო მიდგომები და კრიტერიუმები³⁷.

დასკვნა:

მშვიდობის შესახებ განათლების უფლების სრულყოფილი განხორციელების, ასევე ქვეყნის მიერ ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენისა და ნდობის მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიზნის რეალიზებაში ზოგადი განათლების ეფექტური კონტრიბუციის უზრუნველსაყოფად, მეტად მნიშვნელოვანია მშვიდობის კულტურის

Psychological Theories, History Teaching and Reconciliation, Palgrave Macmillan, 2017, გვ. 7

³³ Gallagher. T. (2021) Governance and leadership in education policy making and school development in a divided society, *School Leadership & Management*, გვ. 132-151, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3h2I9pJ>>

³⁴ Jeans, R. B. (2005). Victims or Victimizers? Museum, Textbooks, and the War Debates in Contemporary Japan. *Journal of Military History*. გვ. 183

³⁵ Hayashi, M. (2003). Peace Education in Germany: Lessons from War History. In M. Tamura, K. Murakami & M. Iwabuchi (eds.), *48 Chapters about Contemporary Germany*.

³⁶ Heater D. (2004). *A history of Education for Citizenship*. London: Routledge Falmer. Heinemann, M. (2007).

³⁷ Hara, K. (2012 წილ 22-6). Peace Education in the 21st Century: A Comparative Study of Peace Education in Japan, Germany and and Bosnia-i-Herzegovina, გვ. 13, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/2StONx6> >

კულტივაცია ფორმალური განათლების მიერ ისეთი უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო ინსტრუმენტების მეშვეობით, როგორებიცაა სასკოლო სახელმძღვანელოები და პედაგოგთა პროფესიული ცოდნა/უნარები.

შესაბამისად, პედაგოგთა პროფესიული სტანდარტი უნდა მოიცავდეს მინიმუმებს, არა მარტო კონფლიქტის პრევენციას, არამედ მისი მშვიდობიან ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ, ინტერდისციპლინარული მიდგომებისა და კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების ხელშეწყობის გზით. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებისთვის, რათა სწავლების დროს პედაგოგებმა შეძლონ მშვიდობის მშენებლობისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობი კონცეფციების ინტეგრირება, ისტორიული კლიშეების კრიტიკული ანალიზი, სტერეოტიპების რეპროდუქციის პრევენცია და გარეშე ჯგუფების მიმართ ემპათიის განვითარება მოსწავლეებში. პროფესიულ სტანდარტში მშვიდობის განათლების ასპექტის გამოკვეთა შემდგომ პოზიტიურად აისახება პედაგოგთა მოსამზადებელ სასწავლო პროგრამებში კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის საკითხების ასახვაზე.

გარდა მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტისა, აუცილებელია კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციისა და ნდობის აღდგენის ასპექტების ასახვა სასკოლო სახელმძღვანელოთა რეცენზირების შინაარსობრივ კრიტერიუმებში, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სახელმძღვანელოების მეშვეობით შუღლის გაღვივებისა და ძალადობის პრევენციას, ასევე კონფლიქტის რეგონებთან დაკავშირებით მშვიდობის იდეების კულტივირებასა და სახელმძღვანელოებში ამ რეგონების და ხალხების პოზიტიური რეპრეზენტაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის “ზ” ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით:

- შევიდეს ცვლილება მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ ბრძანებაში, რომელშიც ასახულ იქნება პედაგოგის მიმართ მოთხოვნა კონფლიქტ-სენსიტიური სწავლებისა და მშვიდობის კულტურის ფორმირებისთვის საჭირო ცოდნა/უნარების შესახებ;
- შევიდეს ცვლილება „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N768 ბრძანების #1 დანართში, რომელშიც ასახულ იქნება კრიტერიუმი კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი წინადადება და პასუხი მაცნობოთ “საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით

განსაზღვრულ ვადაში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

A handwritten signature in blue ink, consisting of a stylized 'N' followed by a series of loops and a long horizontal stroke.